კონსოლიდირებული ტენდერის მონაწილე - შპს „ლუკოილ ჯორჯია“-სა („მიმწოდებელი“) და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს („შემსყიდველი“) შორის 2013 წლის 20 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №-93 ხელშეკრულების

(„სატენდერო ხელშეკრულება“)

დ ა ნ ა რ თ ი №4

ქ. თბილისი 20 მარტი 2013 წ.

1. პლასტიკური ბარათის მოხმარებისა და მისი საშუალებით საწვავის შეძენის წესები

1.1 პლასტიკური ბარათის მიღების საფუძველს წარმოადგენს „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის გაფორმებული „სატენდერო ხელშეკრულება“.

1.2 პლასტიკური ბარათების რაოდენობა და მისი საშუალებით შესაძენი საწვავის სახეობა განისაზღვრება მხარეთა შორის გაფორმებული „სატენდერო ხელშეკრულების“ დანართი 2-ით.

1.3 პლასტიკური ბარათები „შემსყიდველს“ გადაეცემა მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი (ხელმძღვანელი ან მინდობილობით აღჭურვილი) პირები.

1.4 პლასტიკური ბარათი თავისი მუშაობის სქემით წარმოადგენს საკრედიტო ბარათს, რომელზეც წინასწარ არ ხდება საწვავის დარიცხვა და შესაძლო გასახარჯი მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შემსყიდველის მიერ დაწესებული ლიმიტით, ხოლო შემსყიდველს საგადასახადო ანგარიშფაქტურა გამოეწერება პლასტიკური ბარათის საშუალებით რეალურად განხორციელებული ტრანზაქციების მიხედვით.

1.5 პლასტიკური ბარათებთ საწვავის გაცემას „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ხელშეკრულების დანართი №3-ით და მხარეთა დამატებითი შეთანხმების საფუძველზე მითითებული ავტოგასამართი სადგურების საშუალებით.

1.6 პლასტიკური ბარათით შეძენილი საწვავის ფასის დაანგარიშებისა და ანგარიშსწორების წესი განისაზღვრება მხარეთა შორის გაფორმებული „სატენდერო ხელშეკრულების“ მიხედვით.

1.7 პირადი ანგარიშის (ელექტრონული გვერდის) მართვის მიზნით, მომხმარებლის სახელი (ლოგინი) განისაზღვრება შემსყიდველის საიდენტიფიკაციო კოდით, ხოლო პაროლს შემსყიდველი ირჩევს დამოუკიდებლად.

1.8 პლასტიკური ბარათებით საწვავის მოხმარებას „შემსყიდველი“ „მიმოწდებლისაგან“ დამოუკიდებლად აკონტროლებს და მართავს „მიმწოდებლის“ ვებ.გვერდზე (www.lukoil.ge) დარეგისტრირებული პირადი ანგარიშის საშუალებით.

1.9 *„შემსყიდველი“ პლასტიკური ბარათის შენახვას უზრუნველყოფს შემდეგი პირობების დაცვით:*

- პლასტიკური ბარათის შენახვის ტემპერატურაა -20^0 $+55^0$ C
- აუცილებელია მიკროსქემის დაცვა დაბინძურებისა და მასზე სხვადასხვა სახის ზემოქმედებისგან.

1.10 დაუშვებელია პლასტიკურ ბართზე ძალისმიერი ზემოქმედება (გაღუნვა და სხვა ტიპის დაზიანება).

1.11 ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათით საწვავის ჩასხმისას, „შემსყიდველი“ ვალდებულია, ავტოგასამართი სადგურის თანამშრომელს წარუდგინოს პლასტიკური ბარათი და დაუსახელოს ჩასასხმელი საწვავის სახეობა და რაოდენობა.

1.12 პლასტიკური ბარათით განხორციელებული ყოველი ოპერაციის შემდეგ შემსყიდველს გადაეცემა ოპერაციის ამსახველი ამონაწერი ტერმინალის ქვითრის სახით.

1.13 ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათით საწვავი გაიცემა მხოლოდ პლასტიკურ ბარათზე მითითებული სახ. ნომრის მქონე ავტომობილზე.

1.14 ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათით საწვავი არ გაიცემა:

- დაზიანებული პლასტიკური ბარათის საშუალებით.
- თუ პლასტიკური ბარათი არ გამოიყენებოდა ექვსი თვის განმავლობაში და მის გააქტიურებისათვის შემსყიდველს იგი არ წარმოუდგენია მიმწოდებლისთვის.
- თუკი ამოიწურა საწვავის მიღებისათვის განსაზღვრული ლიმიტი.
- სახ. ნომრიანი პალასტიკური ბარათის საშუალებით რაიმე სახის ჭურჭელში ჩასხმით.

2. პლასტიკური ბარათით განსაზღვრული მომსახურება

2.1 შემსყიდველის პირადი ანგარიშის საშუალებით პლასტიკური ბარათი მოიცავს მომსახურების შემდეგ ფორმებს:

2.1.1. სალიმიტე სქემა – დღიური ან ყოველთვიური ხარჯვის ლიმიტი სურვილისამებრ;

2.1.2. ОИЛ – ლიმიტის ცვლილება დისტანციურად;

2.1.3. ხარჯვის კონტროლი;

2.1.4. ბარათის დაბლოკვა;

2.1.5. პირად ანგარიშის საშუალებით განხორციელებულ ოპერაციებზე ინფორმაციის მიღება;

2.1.6. პლასტიკურ ბარათზე განხორციელებულ ოპერაციებზე ინფორმაციის მიღება;

3. მიმწოდებლის ვალდებულებები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ განაცხადის გაკეთების დღიდან, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა უზრუნველყოს პლასტიკური ბარათების დამზადება.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული პირობები.

4. შემსყიდველის ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი ვალდებულია დამოუკიდებლად განახორციელოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული ქმედებები პლასტიკური ბარათის მართვასთან დაკავშირებით.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული ბარათის შენახვის პირობები.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული პირობები.

5. სხვა პირობები

5.1 წინამდებარე დანართი წარმოადგენს „სატენდერო ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს და შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა „მიმწოდებელს“ ხოლო - ერთი „შემსყიდველს“

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
საქართველოს სახელმწიფო დაცვის	შპს „ლუკოილ ჯორჯია“
სპეციალური სამსახური	ს.კ 204976302
ს.კ 203840344	დირექტორი
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის	
მოადგილე	
---	---
ბ. კერვალიშვილი	ზ. ქათამაძე